პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 49 (4043)

11 მარტი, ოთხშაბათი.

1970 წ.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნონამ ორივე პარტია გადადო

ბელგრადი, 10 მარტი. 8 მარტისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ქალთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი იუგოსლავიის დედაქალაქში დიდ ინტერესს იწვევს. გათამაშდა 2 ტური. კარგად აიღო სტარტი მოსკოველმა ა. კუშნირმა, რომელმაც I ტურში დაამარცხა ვუიანოვიჩი (იუგოსლავია), ხოლო II ტურში კ. იოვანოვიჩთან (იუგოსლავია) მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია.

მსოფლიო ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს არც ერთი პარტია არ დაუმთავრებია; ჯერ იგი მასპინძელ ლაზარევიჩს ეთამაშა, მერე კი რუმინელ პოლიქრონიადეს და ორივე შეხვედრა გადადო.



„ბრან-პრი" — საოლრხულ ფილმებს

იტალიის ქალაქ კორტინა დ'ამპეცოდან, სადაც სპორტული ფილმების 26-ე საერთაშორისო კინოფესტივალი დამთავრდა, სასიამოვნო ცხობა მოვიდა: საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტებს მთავარი პრიზი მიენიჭათ.

საბჭოთა ფილმები კიდევ ორი ჯილდოთი აღინიშნა: ფესტივალის დიდი თასი მიიღო კინოსურათმა „ოჰ, ეს მძიმე შტანგა", რომელიც რეჟისორმა ვ. კონოვალოვმა დოკუმენტური ფილმების ცენტრალურ სტუდიაში გადაიღო. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის დიდი მედალი დაიმსახურა სამმა საბჭოთა ფილმმა. ესაა „მეხიკოს მძიმე სტარტები" (რეჟისორ-ოპერატორები დ. გასიუკი და ბ. გოლოვნია), „პატარა ნავების დიდი რეგატა" (რეჟისორები ა. კონდახჩიანი და დ. პოლონსკი. ორივე სურათი გადაიღო სტუდია „ცენტრნაუჩფილმმა") და ყაზახფილმის სტუდიის ნამუშევარმა „შუბი და ნაჯახი".

ამ თავისებურ შეჯიბრებაში 91 ფილმი მონაწილეობდა. შედარებით ვრცელი პროგრამა წარმოადგინეს გფრ-ის (13 ფილმი), იტალიის (12), უნგრეთისა და აშშ-ს (9-9), აგრეთვე, სსრ კავშირის (7) დელეგაციებმა.

საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა ორწლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნეს მთავარი პრიზი. (საკდესი).

ორი ფოტო გამოფენიდან

ახალი ამბების საააგენტომ მოაწყო მორიგი ფოტოგამოფენა „აას-ი-69", სადაც 64 ფოტოკორესპონდენტის 300-მდე ნამუშევარია გამოფენილი. ეს აას-ის რიგით მეშვიდე გამოფენაა. ტრადიციის მიხედვით, ამ საააგენტოს ფოტოფურნალისტები გასული წლის მუშაობის შედეგებს აჯამებენ.

გამოფენის ექსპონატების ნაწილი სპორტულ თემას ეძღვნება. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს დ. დონსკოის „ჩვენ ვთამაშობთ მინი-კალათბურთს" და ი. სომოვის „შაიბა! შაიბა!".

სურათებზე: „ჩვენ ვთამაშობთ მინი-კალათბურთს"; „შაიბა! შაიბა!" (სტოკჰოლმის XXXVI მსოფლიო ჩემპიონატი).

ჩვენს მოძველ რესპუბლიკებში

გმირის სახელობისა

როვნო. აქ ორ დღეს გაბატანა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებამ საბჭოთა კავშირის გმირის ნ. კუზნეცოვის სახელობის გარდამავალ თასზე. ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში მონაწილეობდნენ უკრაინის ქალაქების, აგრეთვე, კიშინიოვის, ბრესტის, ლიეპაის საშუალო სასწავლებლების ნაკრები გუნდები. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით გაიმარჯვეს ვალენტინა ტარანმა და ა. კურნაშოვმა (ორივე — უიტომირი). პირველთანრიგოსანთა პროგრამით შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ბრესტელებმა ნ. ტიურიკოვამ და ვ. დავიდჩიკმა.

ჯილდოები — პირველდამპყრობთ

ტაშკენტი. შარშანდელი წლის საუკეთესო მოგზაურობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულებს უზბეკეთის ტურიზმის საბჭოს ოქროს მედლები გადაეცათ. რესპუბლიკის დედაქალაქის 12 ახალგაზრდა მუშამ და სტუდენტმა სპორტის ოსტატობის კანდიდატების ვ. უურავლიოვისა და ა. პოჩაევის ხელმძღვანელობით იმოგზაურეს ყველაზე საინტერესო მარშრუტით მაღალმთიან პამირო-ალაიში. მათ ყირგიზეთის სოფელ ჰაიდარკანიდან ტაჯიკეთის ქალაქ ჰამზაბადამდე 20 დღეში 250 კილომეტრი გაიარეს.

მარშრუტი, რომელიც სამი მოძმე რესპუბლიკის ტერიტორიაზე გადიოდა, მოიცავდა 14 მთიან უღელტეხილს და ხშირად ზღვის დონიდან 4000 მეტრ სიმაღლეს აღწევდა. ახლა ეს გზა პირველდამპყრობთა წყალობით უკვე მრავალი ტურისტისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ტაშკენტის ოლქისა და სამარყანდის ტურისტებმა, რომელთაც ჯანმრთელობის ახალ ტრასებს მიაკვლიეს კურამინისა და გისარის მთებში.

მზვერავის პატივსაცემად

კარში. უზბეკეთის ქალთა პირველი მძლეოსნური კროსი მიეძღვნა მამაცი მზვერავის, კომკავშირელი ბ. ბასანოვას ხსოვნას, რომელმაც სახელი გაითქვა ბასმაჩებთან ბრძოლით. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში 100 ათასზე მეტი სპორტსმენი ქალი იბრძოდა ფინალის საგზურებისთვის. გმირის მშობლიურ ქალაქ კარშიში 130-ზე მეტმა უძლიერესმა აიღო სტარტი 1000, 1500 და 2000 მეტრზე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ტაშკენტის ოლქის წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაისაკუთრეს ბროლის თასი— უზბეკეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი პრიზი. პირად პირველობაში გაიმარჯვეს ანდიჯანელმა ზ. ახტიამოვამ, ნამანგანელმა ნ. სალგაევამ, ბუხარელმა ვ. შპაკოვამ და ტაშკენტის ოლქის წარმომადგენელმა ზ. მურტაზინამ.

რეკონსტრუქცია უნდა დაჩქარდეს

წერილი რედაქციას

თბილისელი სპორტსმენები საწვრთნელი ბაზებით განებივრებული არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ მას შემდეგ, რაც „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. სარბენ ბილიკებსა და მძლეოსნურ სექტორებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სულ ცოტა, 6 დარბაზი მაინც დავკარგეთ.

როცა რეკონსტრუქციას იწყებდნენ, გვპირდებოდნენ, ახალი ბაზა ორიოდე წელიწადში მწყობრში ჩადგება, უფრო დიდი და კეთილმოწყობილი დარბაზებიც გექნებათო. ისიც გვაიმედებდა, რომ ბეგმით ყველა სამუშაო 1971 წლის დასაწყისისთვის უნდა დამთავრებულიყო, რომ სწორედ „დინამოს" ახალ სტადიონზე უნდა გვეზეიმა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი. მაგრამ აი, მეორე წელიწადი მიდის და ჯერ საქმის მეხუთედიც კი არაა გაკეთებული.

არადა, საქართველოს ნაკრები გუნდები საპასუხისმგებლო ტურნირებისთვის სწორედ „დინამოს" სტადიონის ღია და დახურულ ბაზებზე ემზადებოდნენ. მოკრივეები, ძალოსნები, მოჭიდაველები, კალათბურთელები, მოფარიკაველები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების წინ ამ სტადიონის დარბაზებში მეცადინეობდნენ. სტადიონის აუზსაც დიდი სამსახური გაუწევია ჩვენთვის. აქ მარტო მოცურავეები კი არა, ხუთჭიდელები და წყალბურთელებიც ვარჯიშობდნენ. როცა საჭირო იყო საერთო ფიზმომზადებაში წვრთნა, ამ აუზის კარი სხვა სახეობათა წარმომადგენლებისთვისაც ღია იყო.

ახლა კი რა გამოვიდა? დაგვაიმედა ვაკეში ფიზკულტურის კომიტეტის აუზის აგებამ. ვფიქრობდით, „დინამოს" აუზს ცოტა შეღავათი მიეცემოდა, ცურვასა და წყალბურთში მწვრთნელები ნიჭიერი ახალგაზრდების ახალ ჯგუფებს შექმნიდნენ და ამ ბაზაზე ნორმალური მუშაობის უკეთესი პირობები ექნებოდათ. მაგრამ სტადიონის რეკონსტრუქციის გაჭიანურების გამო პირიქით მოხდა.

მძლეოსნები უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ შარშან საქართველოს ნაკრები ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის გუნდების მატჩისთვის ხეირიანად ვერ მოემზადა, საკავშირო სარბიელზეც დაკარგა ისედაც მოკრძალებული პოზიციები. ლენინის სახელობის სტადიონი მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს, თბილისის სხვა სტადიონების (ასკ-ს, სპორტკლუბების „განთიადისა" და „სინათლის") მესვეურები თავს არ იწუხებენ ამ ბაზებზე მძლეოსნური ბილიკებისა და სექტორების მოწყობით. მართალია, „ლოკომოტივის" სტადიონზე ბიტუმი დაიგო, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ეს სარბიელი მხოლოდ თბილ დღეებშია წვრთნისა და ასპარეზობისთვის ვარგისი.

„ლელომ" კარგი ქნა, „დინამოს" სტადიონზე თავისი საგუშაგო რომ გახსნა და ის ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი მოუქნელი მუშაობით საქმეს აფერხებდნენ, რამდენიმეჯერ გაკრიტიკა. ამან საქმე ერთგვარად დაჩქარა.

ჩვენი რესპუბლიკური ნაკრები გუნდების წევრები, სტადიონის რეკონსტრუქციის მალე დამთავრებით დაინტერესებული ვართ და საქმის მსვლელობასაც ხშირად ვკითხულობთ, მაგრამ მშენებლები მუდამ იმართლებენ თავს: ხან ერთ ორგანიზაციას აბრალებენ, ამა და ამ მასალებსა თუ მექანიზმებს დროულად არ გვაწვდისო, ხან მეორე ორგანიზაციაზე ამბობენ, სათანადოდ არ გვებმრებაო.

მშენებლობის ხელმძღვანელობა მართლაც მონდომებულია, მაგრამ მარტო ერთი ორგანიზაციის მოწადინება საქმეს არ შველის.

ჩვენ უკვე უნდა ვემზადებოდეთ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის, თორემ შევრცხვებით 1971 წლის ყველაზე დიდ კომპლექსურ შეჯიბრებაში, რომელიც, ფაქტიურად, მიუნხენის ოლიმპიადისთვის საბჭოთა ნაკრების წევრთა ბოლო შესარჩევი შეჯიბრება იქნება.

სპორტის დამსახურებული ოსტატები, ფეხბურთელები ს. მეტრეველი, ბ. ხურცილავა, კალათბურთელი ზ. საკანდელიძე, მოჭიდავე შ. ლომინაძე, მოფარიკაველი ბ. კოსტავა, სპორტის ოსტატები: მძლეოსნები ლ. ტულუში, ბ. გუდაშვილი, მოცურავე თ. ლეკვეიშვილი.

სპარტაკიადაში მონაწილეობა — სპორტსმენის მიზანი!

მძლეოსნობა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: IX გუნდური ადგილი.

პრიზიორები: ლ. იევლევა (80 მ თარჯრბენი) — I, ვ. სანეევი (სიგრძეზე ხტომა) — II, (სამხტომი) — III, ი. დელაროსა (სპორტული სიარული 50 კმ) — II, ზ. სარჭისიანი, ა. ანდრეევი, ტ. ბახტაძე, ი. კოზელსკი (ესტაფეტა 4×400 მ) —II, ა. კოსტინი (100 მ რბენა) — III, ა. შჩერბინა (სიარული 50 კმ) — III, ი. კოზელსკი (400 მ თარჯრბენი) — IV, კ. გორძამაშვილი (შუბი) — IV, ი. მხეიძე (ბადრო) — VI, გ. გუდაშვილი (ბადრო) — VI, ლ. იევლევა, თ. როუმანოვა, გ. კონონენკო, ვ. ქუთათელაძე (4×100 მ ესტაფეტა) — VI, რ. მამალაძე, ვ. სევოსტიანოვი, ა. ანტონოვი, ა. კოსტინი (4×100 მ ესტაფეტა) — VI.

რ. ქვაჩაკიძე (1938 წ. „სპარტაკი", თბილისი), თ. მდინარაძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. კოსტინი (1940 წ. „დინამო", სოხუმი), ვ. ქავთარაძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. სტეპანოვი (1947 წ. „სპარტაკი", თბილისი), ა. ანდრეევი (1942 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ტ. ბახტაძე (1938 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ე. კონდრატიევი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. კოზელსკი (1946 წ. „დინამო", თბილისი), ა. მოშიაშვილი (1950 წ. „დინამო", თბილისი), ვ. მაირომიანი (1949 წ. „დინამო", სოხუმი), რ. არმეგონაშვილი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), პ. კოჩეგუროვი (1943 წ. „კოლმეურნე", თბილისი), ნ. საგანელიძე (1948 წ. „განთიადი", თბილისი), თ. მდივანი (1941 წ. „სპარტაკი", თბილისი), ვ. სანეევი (1945 წ. „დინამო", სოხუმი), მ. თათეოსიანი (1946 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. გუდაშვილი (1942 წ. „დინამო", თბილისი), კ. გორძამაშვილი (1942 წ. „დინამო", თბილისი), ლ. აროშიძე (1943 წ. „კოლმეურნე", თბილისი), ლ. დარახველიძე (1938 წ. „სპარტაკი", თბილისი), ვ. გაბარაევი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ზ. აღსანაიძე (1948 წ. „კოლმეურნე", თბილისი). მ. ოყროშიძე (1944 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ი. დელა-როსა (1939 წ. „განთიადი", თბილისი), ა. შჩერბინა (1931 წ. „სპარტაკი", თბილისი), ი. დიაჩკოვი (1940 წ. „დინამო", თბილისი). ლ. გუგეშაშვილი (1946 წ. „დინამო", თბილისი), ზ. თავბერიძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. ქუთათელაძე (1948 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ლ. ტუღუში (1935 წ. „დინამო", თბილისი), ვ. გოლობოროდკო (1952 წ. „დინამო", ბათუმი), გ. კონონენკო (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ლ. იევლევა (1942 წ. „სპარტაკი", თბილისი), ნ. ლომიძე (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ლ. ფარცვანია (1952 წ. „შრომითი რეზერვები", ფოთი), ლ. კორკოტაძე (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი). ტ. სერდიუკოვა (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ც. ლიპარტელიანი (1946 წ. „კოლმეურნე", თბილისი), ც. ჯაფარიძე (1948 წ. „კოლმეურნე", თბილისი), რ. ჩუბინიძე (1952 წ. „განთიადი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები: ვ. სამსონაძე, ვ. ვაშაკიძე, გუნდის უფროსი რ. ტრაპაიძე, უფროსი მწვრთნელი კ. მალიშკოვი, მწვრთნელები: ზ. ჯარაშნელი, კ. ტყეშელაშვილი, ნ. ლომჟანიძე, ა. კონსტანტინოვი, ბ. დიაჩკოვი, ვ. სუხოტინი, ე. გოკიელი, გ. ლეჟავა, კომორგი ვ. სარიბეკოვი.

ტანვაჭრობაში

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: IV გუნდური ადგილი.

პრიზიორები: ი. ნინოშვილი (რგოლები) — III ადგილი, ა. ჯანუკაშვილი (ხტომა) — VI.

შ. აზარაშვილი (1945 წ. ბათუმი), მ. ბოგუსი (1941 წ. „დინამო", თბილისი), ა. გნოლიძე (1948 წ „ბურევესტნიკი", თბილისი), ყ. დუდუშაური (1945 წ „ბურევესტნიკი", თბილისი), ა. ზაქრაძე (1949 წ „სპარტაკი", თბილისი), თ. კოხრეიძე (1945 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. ლოლაძე (1943 წ. „დინამო", თბილისი), ა. ნოზაძე (1952 წ. „დინამო", თბილისი), ი. ნინოშვილი (1945 წ. „დინამო", თბილისი), ე. სამხარაძე (1948 წ. „სპარტაკი", თბილისი), ა. ჩხოტუა (1947 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ე. ეკსუზიანი (1945 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. ბაბუნაშვილი (1947 წ. „დინამო", თბილისი), ე. ბოჯოლიუბოვა (1952 წ. „განთიადი", თბილისი), გ. ბზიკაძე (1949 წ. „სპარტაკი", თბილისი), რ. ბერიკაშვილი (1950 წ. „დინამო", თბილისი), ლ. გათენდაშვილი 1951 წ. „დინამო", თბილისი), მ. ჯინჭარაძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ნ. ჯირაშვილი (1951 წ. „დინამო", თბილისი), გ. ჯღარკავა (1954 წ. „განთიადი", თბილისი), ლ. ლაპისტოვა (1951 წ. „განთიადი", თბილისი), მ. მონიავა (1954 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ლ. მეტდლიძე (1953 წ. „განთიადი", თბილისი), რ. სიხარულიძე (1955 წ. „დინამო", ბათუმი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები არიან შ. ყარყარაშვილი, ს. ჯაიანი, გუნდის უფროსი ო. ქორქია, უფროსი მწვრთნელები ჰ. ბურჯანაძე (ვაჟების), მ. ჯუღელი (ქალების), მწვრთნელები: ს. ბურჯანაძე, ვ. უზუნოვი, გ. ჩხარტიშვილი, ო. მიქელაძე, ს. თედეევი, თ. ქოიავა, ა. გაბრიაძე, კომორგი ა. კაკულია.

აკადემიური ნიჩბოსნობა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: XIV გუნდური ადგილი.

გ. ლაგვილავა (1949 წ. „სპარტაკი", ფოთი), ი. კრესტოვი (1952 წ. „სპარტაკი", ფოთი), ა. ასტაშენკო (1950 წ. „სპარტაკი", ფოთი), ვ. ბერაია (1951 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ტ. ბარიშევი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ტ. უბულავა (1949 წ. „სპარტაკი" მცხეთა), ნ. მოსულიშვილი (1948 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი), ა. მაჩიტაძე (1950 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი). ბ. ერისთავი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. ნიკურაძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ო. ქაფანიძე (1952 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. კუდუხოვი (1952 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), მ. ალიანი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), რ. გვალია (1948 წ. „სპარტაკი", ფოთი), ვ. კუპრეიშვილი (1951 წ. „სპარტაკი", ფოთი), კ. სლინიაგჩუკი (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. ზაალიშვილი (1950 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), გ. სილიუტინი (1947 წ. „სპარტაკი", ფოთი), გ. ფაცია (1952 წ. „ვოდნიკი", ფოთი), ვ. ბაშკინოვი (1942 წ. „სპარტაკი", მცხეთა), ნ. პილიევი (1952 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებელია თ. ფურცელაძე, გუნდის უფროსი მ. მნათობიშვილი, უფროსი მწვრთნელი ო. ბერელიძე, მწვრთნელები: ზ. კოკზარიძე, ა. ხამხაძე, ო. ხომერიკი, გ. ბუკია, კომორგი გ. შონია.

ბაიდარა და კანოე

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: VI გუნდური ადგილი.

პრიზიორები: ა. მატკავა (ერთადგილიანი ბაიდარა, 1000 მ) — III, (ერთადგილიანი ბაიდარა, 10.000 მ) — IV, ბ. მხეიძე, ვ. პოკრიშჩენკო (ორადგილიანი ბაიდარა, 1000 მ)— III, თ. ხუბერაშვილი, ბ. მხეიძე (ორადგილიანი ბაიდარა, 500 მ) — IV, ა. მატკავა, ვ. პოკრიშჩენკო, ს. ციცქიშვილი, თ. ხუბერაშვილი (ესტაფეტა 4×500 მ) — IV, ჯ. ხოშებაევი, ი. წოწკოლაური, ვ. იგნატჩენკო, ნ. ლოზოვოი (ვაჟთა ესტაფეტა 4×500 მ, კანოე) — VI, ვ. პონომარენკო, თ. ტოლკაჩოვა, ა. იუდანოვა, ლ. ბესპალოვა (ქალთა ესტაფეტა 4×500 მ, ბაიდარა) — VI.

ნ. ლუცენკო (1950 წ. „ვოდნიკი", ფოთი), ლ. ბესპალოვა (1945 წ. ქუთაისი), ს. გერასიმენკო (1947 წ. ქუთაისი), თ. ტოლკაჩოვა (1945 წ. „დინამო", სოხუმი), ვ. ტურკოვსკაია (1947 წ. „ბურევესტნიკი", სოხუმი), ვ. პონომარენკო (1938 წ. ასკ, თბილისი), თ. ჩიტაია (1949 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ვ. მაკაროვი (1951 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ჯ. ხოშებაევი (1943 წ. მცხეთა), მ. კლეიმანი (1952 წ. „განთიადი", ბათუმი), ზ. ხოფერია (1952 წ. „ვოდნიკი", ფოთი), ვ. კრატასიუკი (1949 წ. ქუთაისი), ი. ტურუკინი 1949 წ. სოხუმი), ა. ივანოვი (1947 წ. ქუთაისი), გ. მამულაშვილი (1948 წ. „ბურევესტნიკი", თბილისი), ლ. ქოიავა (1952 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), კ. ბაზელკო (1951 წ. ქუთაისი), ა. სკოტორენკო (1949 წ. ქუთაისი), ხ. ცხოვრებოვი (1949 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ნ. პიატაკოვი (1950 წ. „ლოკომოტივი", თბილისი), ე. ლოხანკინი (1947 წ. „ლოკომოტივი", მცხეთა), ვ. კალიუჟნი (1945 წ. ასკ, თბილისი), ს. ციცქიშვილი (1945 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი), თ. ხუბერაშვილი (1945 წ. „ბურევესტნიკი", მცხეთა), ა. მატკავა (1939 წ. ქუთაისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებელნი არიან თ. კაჭახიძე, კ. რევია, გუნდის უფროსი ა. არხანგელსკი, უფროსი მწვრთნელი ნ. რაზმაძე, მწვრთნელები: თ. ნეგეფტიდი, შ. ჭედია, თ. ქურდიანი, ნ. გირდა, კომორგი ე. შარტავა.

ცურვა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადა: IX გუნდური ადგილი.

პრიზიორები: ა. ტუტაკევი (ბრასი, 100 მ) — IV, (ბრასი 200 მ) — V, ა. იოაკიმიდი (კომპლექსური, 400 მ) — IV.

ვ. სიდიაკოვა (1953 წ. „სპარტაკი" ბათუმი), ლ. მარღანია (1951 წ. „დინამო", სოხუმი), თ. ლეკვეიშვილი (1954 წ. „დინამო", თბილისი), ნ. გაჩეჩილაძე (1956 წ. „განთიადი", ჭიათურა), ც. გეკურეოვი (1953 წ. „დინამო", თბილისი), ვ. ონუფრიენკო (1951 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი), ნ. ზემლიანუსინი (1950 წ. „განთიადი", ბათუმი), ი. ლისეცკი (1953 წ. „დინამო", თბილისი), ი. კირდიანოვი (1950 წ. „დინამო", თბილისი), ა. ფეოკტისტოვი (1950 წ. „განთიადი", თბილისი), დ. ფროლოვი (1952 წ. „განთიადი", ბათუმი), ჯ. ჩაბაკაური (1953 წ. „შრომითი რეზერვები", თბილისი), ვ. სნიმშჩიკოვი (1953 წ. „დინამო", თბილისი), ტ. ცაგარელი (1952 წ. „დინამო", თბილისი), ვ. გოგოლევი (1953 წ. „განთიადი", თბილისი), ვ. კრავცოვი (1948 წ. „სპარტაკი", თბილისი), ა. იოაკიმიდი (1948 წ. „დინამო", თბილისი), ა. ხეხტოიანი (1950 წ. „დინამო", თბილისი), ხ. ოჩხეკიძე (1954 წ. „განთიადი", ჭიათურა), ვ. კრასკო (1952 წ. „დინამო", ბათუმი), ნ. პოგორელოვი (1950 წ. „განთიადი", ბათუმი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებლები არიან ვ. გაზაევი, ბ. კამენსკი, გუნდის უფროსი ა. გოიაშვილი, უფროსი მწვრთნელი ს. ილინი, მწვრთნელები: ლ. იოაკიმიდი, მ. ტატიშვილი, კომორგი დ. კეთილაძე.

მშვილდოსნობა

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის პროგრამაში არ იყო შეტანილი.

გ. პაიკიძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), ქ. ლოსაბერიძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), გ. რიჟამაძე (1946 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), დ. ლოსაბერიძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), ნ. ყურაშვილი (1946 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), ვ. სოხაძე (1950 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), შ. ბოილიშვილი (1951 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), ე. არველაძე (1949 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), ბ. ქორიძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი), თ. ჯორდელაძე (1951 წ. „ბურევესტნიკი", ქუთაისი).

გუნდის მომზადებისთვის პასუხისმგებელია ს. სიხარულიძე, გუნდის უფროსი ლ. ახვლედიანი, უფროსი მწვრთნელი შ. ჯანიაშვილი, მწვრთნელი მ. ფხაკაძე, კომორგი თ. იმედაძე.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 39, 40, 41, 42.

მსოფლიო რეკორდები

სროლა

1970 წლის 10 მარტისთვის

ნებისმიერი შაშხანა, 300 მ

3×40 გასროლა	1157	ჰ. ანდერსონი (აშშ)	1969
	4602	აშშ-ს ნაკრები	1966
წოლელა 40 გასროლა	398	კ. იუპანსონი (შვეიცია)	1960
	398	მ. ლანდრიო (შვეიცია)	1966
	398	ვ. კორნევი (სსრ კავშირი)	1969
	398	ნ. ფოჭტი (შვეიცარია)	1968
	1583	სსრ კავშირის ნაკრები	1966
ჩოქელა 40 გასროლა	392	ვ. კორნევი (სსრ კავშირი)	1969
	1564	სსრ კავშირის ნაკრები	1969
დგომელა 40 გასროლა	376	ა. ჰოლენშტეინი (შვეიცარია)	1969
	1478	აშშ-ს ნაკრები	1966

მცირეკალიბრიანი შაშხანა, 50 მ

3×40 გასროლა	1165	ო. ლაპკინი (სსრ კავშირი)	1969
	4632	სსრ კავშირის ნაკრები	1969
წოლელა 40 გასროლა	400	ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია)	1969
	400	ვ. ვაიბელი (ავსტრია)	1969
	1592	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969
ჩოქელა 40 გასროლა	390	ბ. კლინგნერი (გფრ)	1968
	1557	სსრ კავშირის ნაკრები	1969
დგომელა 40 გასროლა	379	ო. ლაპკინი (სსრ კავშირი)	1969
	1491	სსრ კავშირის ნაკრები	1969
წოლელა 60 გასროლა	598	დ. ბოიდი (აშშ)	1966
	598	ა. მაიერი (კანადა)	1967
	598	ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია)	1968
	598	ლ. ჰამერლი (უნგრეთი)	1968
	598	პ. გორევსკი (გდრ)	1969
	598	ვ. ვაიბელი (ავსტრია)	1969
	2385	რუმინეთის ნაკრები	1969
	2380	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969

მცირეკალიბრიანი ნებისმიერი შაშხანა, 50 მ

3×20 გასროლა	578	ფ. დონა (იტალია)	1969
	2277	სსრ კავშირის ნაკრები	1965

პნევმატური შაშხანა, 10 მ

40 გასროლა	376	ფ. პანიცი (გფრ)	1968
	1474	გფრ-ს ნაკრები	1969

არმიული შაშხანა, 300 მ

3×20 გასროლა	586	ბ. მელნიკი (სსრ კავშირი)	1969
	2227	სსრ კავშირის ნაკრები	1969

სამატჩო პისტოლეტი, 50 მ

60 გასროლა	572	გ. კოსიხი (სსრ კავშირი)	1969
	2239	სსრ კავშირის ნაკრები	1969

მცირეკალიბრიანი პისტოლეტი, 25 მ

60 გასროლა	596	ვ. ათანასიუ (რუმინეთი)	1966
	2361	სსრ კავშირის ნაკრები	1958

რევოლვერ-პისტოლეტი, 25 მ

30+30 გასროლა	597	თ. სმითი (აშშ)	1963
	2319	სსრ კავშირის ნაკრები	1962

სპორტული პისტოლეტი, 25 მ

60 გასროლა	582	ლ. ფალტა (ჩეხოსლოვაკია)	1969
	2276	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969

პნევმატური პისტოლეტი, 10 მ

40 გასროლა	387	ვ. პეშეხონოვი (სსრ კავშირი)	1968
	1510	სსრ კავშირის ნაკრები	1969
	1516	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969

„ბაქცეული ირემი", 100 მ

50 ერთმაგი გასროლა	234	ი. ნიკიტინი (სსრ კავშირი)	1958
	900	სსრ კავშირის ნაკრები	1958
25 ორმაგი გასროლა	233	ო. ზაკურენოვი (სსრ კავშირი)	1963
	908	სსრ კავშირის ნაკრები	1965

„ბაქცეული ტახი", 50 მ

30+30 გასროლა	252	მ. ნორდფორსი (შვეცია)	1969
	654	სსრ კავშირის ნაკრები	1969

● ●

მრგვალი სტენდი

200 სამიზნე	200	ნ. დურნევი (სსრ კავშირი)	1962
400 სამიზნე	394	აშშ-ს ნაკრები	1962

ადგილიდან სროლა

300 სამიზნე	297	კ. ჯონსი (აშშ)	1966
800 სამიზნე	768	აშშ-ს ნაკრები	1966

ინტერნაციონალი

✦ ვანი

რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდურ პირველობაში 16 საშუალო და 9 რვაწლიანი სკოლა მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავეს სპრასიელებმა. II-III ადგილები გაიყვეს ზედა ბზვანისა და სალხინოს მოსწავლეებმა. რვაწლიანი სკოლების შეჯიბრებაში გაიმარჯვა ქვედაბზვანელთა გუნდმა. მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირში 10 საშუალო სკოლა გამოვიდა. ყველას აჯობეს სალხინოელებმა. II ადგილი ხვედა ვანის კიროვის სახელობის, III — შუამთის სკოლას.

ა. მამასახლისი,
ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

ვარტო ზღაპრებში ხდება ხოლმე, რომ ბავშვი ჩემპიონად იბადება. დავით გოცირიძე ჩემპიონის დაფნის გვირგვინზე არც უფრო გვიან ოცნებობდა. უბრალოდ, ფრენბურთის ბურთის „მოთვინიერება“ სურდა. მაგრამ როგორც კი პირველად ჩაიცვა ფორმა, იგრძნო, რომ ფრენბურთი მარტო გართობისა და დასვენებისთვის მოგონილი თამაში არ არის, იგი უფრო ხელოვნებაა. რამდენს ცდილობდა, სწორად მიეღო დარტყმა, მაგრამ ბურთი თითქოს განგებ უსხლტებოდა ხელიდან. მაგრამ დავითს შრომისმოყვარეობა არავისგან ესწავლებოდა. შეუპოვარი ბიჭი ფრენბურთის მოედანზე ათენებდა და ადამებდა.

და აი, რიგა. მოსწავლეთა 1957 წლის საკავშირო სპარტაკიადა. მოსკოველებისა და ჩვენების შეხვედრა. კიდევ ცოტაც და, თბილისელები თითქოს უკან დაიხევენ. მაგრამ ერთი მაღალი, ხმელ-ხმელი ჭაბუკი სიმხნევეს მატებს გუნდს, ბლოკში ჩადგომასაც ასწრებს და დარტყმასაც. ტყუილად როდი დაუკისრებიათ ყველაზე რთული „შავი“ სამუშაო — იგი თამაშის დირიჟორია.

ეს დავალება დავითმა ფრიადზე შეასრულა. ბიჭებმა ხელზე ატაცებული გაიყვანეს იგი მოედნიდან. 3:2, და ჩვენი გუნდი საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

შემდეგ წელიწადს დავითი „ბურევესტნიკის“ ცენტრალურ ნაკრებ გუნდში მიიწვიეს და პრაღის სარბიელზე გამოვიდა, სადაც გულშემატკივრები დაიპყრო ლამაზი, ჭკვიანური თამაშით.

არ დაგავიწყდეთ, რომ დავითი თამაშობდა ფრენბურთის ისეთ ოსტატებთან, როგორიც იყვნენ ვ. კაჭარავა, ვ. მერკულოვი, ბ. ელისეევი. მაგრამ მათ ვერ დაჩრდილეს გოცირიძის დირიჟორული ხელწერა.

სპორტსმენის გზა თითქოს წარმატებით უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ აი, 1966 წელს სპორტის ხაპატიო ოსტატი დავით გოცირიძე... მილიციაში მიიწვიეს. *

— ჩვენ გვჭირდება ჯანმაგარი, ნებისყოფიანი მუშაკები, — უთხრეს იქ.

დავითს დიდხანს არ უფიქრია— ხისხლის სამართლის ძიების მუშაკი გახდა. 1967 წლიდან იგი ოპერატიულ-სამძებრო განყოფილების ინსპექტორია თბილისის ქალაქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოში. ახალმა საქმემ ფიზიკური და სულიერი ძალების დიდი დაძაბვა მოითხოვა. აბა, სინჯეთ, ღამის ორ საათზე ვინმეს მიადექით კარს. დავითი ხანდახან იძულებულია ასე მოიქცეს.

—მართალია, მასპინძლები მუდამ გულთბილად არ მხვდებიან, მაგრამ რას იზამ — დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს, — ამბობს იგი.

ერთ-ერთი ასეთი დამნაშავეა, მაგალითად, ტროკტაუის მე-4 ფაბრიკის ყოფილი უბნის უფროსი თ. ლიაძე, რომელიც სახელმწიფო ქონებას ანიავებდა.

... გოცირიძე ორ წელიწადს ეძებდა ა. ვართანიანს, რომელმაც ერთი გულუბრყვილო კაცი მოატყუა და ლატარიის ყალბი ბილეთის გაყიდვაში შუამავლობდა. ამ ბილეთით ვითომ ავტომანქანა „ვოლგა“ იყო მოგებული. ვართანიანმა თავისი წილი ფული მიიღო და არხეინად მოგზაურობდა, რადგან ეგონა, რომ ათი (!) გვარით ვერავინ მოძებნიდა. დავით გოცირიძემ ბევრი უძილო ღამე შეალია ამ საქმეს, და ვართანიანი ბოლოს და ბოლოს ვოლგოგრადში დააკავეს.

ცხრა წლის მანძილზე დაუსჯელი რჩებოდა № 3 ღვინის ქარხნის ყოფილი მთავარი ინჟინერი შ. კოროშინაძე, რომელიც ოქროს მონეტების შესყიდვით იყო გატაცებული. მილიციის ახალგაზრდა მუშაკის მონდომების წყალობით მან სახელმწიფოს „ნებაყოფლობით“ ჩაბარა 572 ოქროს მონეტა.

ყოფილი სპორტსმენის ანგარიშზე 12 გახსნილი საქმეა.

— რით მომწონს ჩემი ახალი სამუშაო? — კითხვას გვიბრუნებს იგი, — იმით, რომ სახიფათოა და ბრძოლის აზარტით მიტაცებს. ჰაც ისევეა, როგორც სპორტში: დავალება ბოლომდე უნდა შეასრულო. ისე, რა თქმა უნდა, შერლოკ ჰოლმსი არა ვარ, — დასძინა ბოლოს დავითმა. მაგრამ ენერგიული, ინიციატივიანი უეჭველ, რომ არის, ამაში ეჭვს ვერავინ ეპარება.

ვ. ბუკინი.

* * *

სურათზე: დ. გოცირიძემ (№ 9) თავისი საქმე გააკეთა — იერიში შედეგიანი აღმოჩნდა.



„შერლოკ ჰოლმსი არა ვარ...“

გარდამავალი დროშა — მეათედ!

საჭადრაკო ეტიუდი 1967 წლის მაისში ჩამოყალიბდა და მაშინ 42 მაღაზია ჰქონდა. ახლა ამ ორგანიზაციის სავაჭრო ქსელი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეს მოედო და უკვე 69 მაღაზიაა გახსნილი. საშპორტვაჭრობამ განყოფილ თერთმეტ კვარტალში მხოლოდ ერთხელ ვერ მიიღო გარდამავალი წითელი დროშა. მისი 57 თანამშრომელი კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდებას ატარებს, ხოლო 10 კოლექტივს კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი აქვს მინიჭებული. ახლა ამ საპატიო წოდებათა მოსაპოვებლად 40 თანამშრომელი და 8 კოლექტივი იბრძვის. საშპორტვაჭრობას ორჯერ აქვს მოპოვებული საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშა. ასეთია დღემდე მოპოვებულ წარმატებათა არასრული ნუსხა.

ამ დღეებში ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის კულტურის სახლში შედგა საღამო, სადაც 1969 წლის IV კვარტალის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების გამო საქსპორტვაჭრობის კოლექტივს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშა გადაეცა.

საღამო გახსნა საშპორტვაჭრობის გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ, წარსულში ცნობილმა მოჭიდავემ, სპორტის ოსტატმა შ. სეფაშვილმა.

საშპორტვაჭრობის დირექტორს ა. პაიჭაძეს გარდამავალი დროშა გადაეცა. ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა, საგეგმო-ეკონომიური სამმართველოს უფროსმა ა. გველესიანმა. შემდეგ საქართველოს ვაჭრობის სამინისტროსა და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სახელით გამოვიდა საშპორტვაჭრობის სარვეზიო-საკონტროლო განყოფილების უფროსი გ. აფხაზავა.

საღამოზე ჯილდოები გადაეცათ იმ მაღაზიების კოლექტივებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

საქსპორტვაჭრობის დირექციისა და გაერთიანებული პროფკავშირის კომიტეტის გარდამავალი დროშა გადაეცა თბილისის № 8 მაღაზიის კოლექტივს (დირექტორი ვ. ტაბატაძე).

ქების სიგელებით დაჯილდოვდნენ და მადლობა გამოუცხადეს ქუთაისის № 16 (დირექტორი ლ. აშმიკაშვილი), ახალციხის № 57 (გამგე უ. ეპიტაშვილი), თელავის № 43 (დირექტორი შ. ბერიაშვილი), წყალტუბოს № 65 (გამგე ზ. გაბრიჩიძე), მახარაძის № 32 (გამგე ვ. გოგოტაშვილი), ზუგდიდის № 30 (გამგე ი. ვეკუა) მაღაზიების კოლექტივებს.

მადლობა დაიმსახურეს ზესტაფონის № 35 (დირექტორი რ. ყანჩაველი), თბილისის № 9 (გამგე ნ. ჩიქოვანი), ფოთის № 44 (გამგე ღ. ეფრემიძე) მაღაზიებმაც.

საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ მოწინავენი: გ. ნანიტაშვილი (საქსპორტვაჭრობის იურისკონსულტი), ნ. სიხარულიძე (თბილისის № 1 მაღაზიის უფროსი ნოქარი), ი. კეკელია (თბილისის № 8 მაღაზიის დირექტორის მოადგილე), ვ. კახეთელიძე (№ 1 საწყობის გამგე), მ. გოდერძიშვილი (№ 4 მაღაზიის უფროსი ბუღალტერი), ნ. დარჯანია (თბილისის № 9 მაღაზიის ნოქარი) და სხვ.

დაჯილდოებულთაგან სიტყვებით გამოვიდნენ ვ. ტაბატაძე, ქუთაისის № 67 მაღაზიის გამგე ი. ხიშტოვანი, სოხუმის № 19 მაღაზიის გამგე ა. გაბისონია და სხვ.

დასასრულ საშპორტვაჭრობის დირექტორმა ა. პაიჭაძემ დამწყრეთ აღუთქვა, რომ ამ ორგანიზაციის მუშაკები თავს არ დაზოგავენ, რათა მომავალშიც გადაჭარბებით სრულდებოდეს სოციალისტური შეჯიბრებებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ა. ცეხანელი.

ჰეშმარიტი ანთოლოგია

თუ გსურთ გაეცნოთ საჭადრაკო ეტიუდის წარმომობის ისტორიას, საბჭოთა და უცხოელ კომპოზიტორებს და მათს წესანიშნავ თხზულებებს, შეიძინეთ ფ. ბონდარენკოს წიგნი „საჭადრაკო ეტიუდისტთა გალერეა“ (მოსკოვი, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტ“.).

„1930 წლიდან ვაგროვებდი მსოფლიოს გამოჩენილი ეტიუდისტების ნაწარმოებებს. და როცა 1963 წლისთვის 15 ათასი დამიგროვდა, მათს დამუშავებას შევუდექი“, — წერს წინასიტყვაობაში ბონდარენკო.

წიგნი სამი ძირითადი თავისგან შედგება: I. თანამედროვე ეტიუდის ჩამოყალიბება, II. ეტიუდი სსრ კავშირში, III. ეტიუდი უცხოეთში. ყოველი თავი უაღრესად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს.

პირველ თავში ვეცნობით ეტიუდის შორეულ წარსულს, პირველ რუს კომპოზიტორებს და თანამედროვე ეტიუდის ფუძემდებელთა (ა. ტროიეკი, ა. რინკი, ძმები ვ. და მ. პლატოვები, ლ. კუბელი, გ. მატისონი) შემოქმედებას, რასაც საეტიუდო ხელოვნების შემდგომი განვითარება განაპირობა.

მეორე თავი 20-ანი და 30-ანი წლების საბჭოთა ეტიუდისტთა გალერეაა. საქართველო წარმოდგენილია ცნობილი ქართველი ეტიუდისტის, საერთაშორისო ოსტატ გ. ნადარეიშვილის შემოქმედებით.

ამ გალერეის ბოლოს ავტორი თითო ნაწარმოებით გვაცნობს ახალი თაობის საუკეთესო ეტიუდისტებს. ჩვენი რესპუბლიკიდან ესენი არიან ვ. კალანდაძე, ი. კრისელი, ვ. ნეიძე და რ. დადუნაშვილი.

ავტორი ქართველ ეტიუდისტებს ქებით იხსენიებს კიდევ ერთხელ, როცა კოლექტიურ ნაწარმოებებზე ლაპარაკობს. აქ იგი აღნიშნავს ვ. კალანდაძეს, რომელსაც ეტიუდები გ. ნადარეიშვილთან, ვ. ნეიძესთან და ვ. კვეზერელთან ერთად აქვს შედგენილი.

მესამე თავი თითქმის მთლიანად უცხოური ქვეყნების თანამედროვე კომპოზიტორთა ვინაობასა და შემოქმედებას ეძღვნება.

ფ. ბონდარენკოს წიგნი შესანიშნავი ცნობარია ეტიუდის მოყვარულთათვის. რა თქმა უნდა, ნაშრომი უფრო მიმზიდველი იქნებოდა, დიდი კონკურსების (ფიდე-ს ალბომი, სსრ კავშირის ჩემპიონატი) შედეგებიც რომ ყოფილიყო შიგ შეტანილი. მაგრამ ძნელია ეს ვუსაყვედუროთ ავტორს, იმდენი შრომა და მოთმინება დასჭირდა მას ეტიუდისტთა ბიოგრაფიებისა და ფოტოსურათების შესაგროვებლად.

● ●

კიდევ ერთხელ ფსიქოლოგიაზე

„ამბობენ, რომ ჭადრაკი სულით ძლიერთა თამაშია. სწორი იქნება ასეთი თქმაც: ჭადრაკი წარმოშობს ძლიერ სულს“, — წერს დიდოსტატი ნ. კროგიუსი ნაშრომში — „საჭადრაკო შემოქმედებაში ყურადღების ფსიქოლოგიის შესახებ“. ეს ნაწარმოები ამას წინათ ი. როხლინის მონოგრაფიასთან — „მეხსიერება და მისი წვრთნა ჭადრაკში მეცადინეობის პროცესში“ — ერთად ცალკე წიგნად გამოიცა. წიგნს აქვს საერთო სათაური: „მოჭადრაკის მეხსიერება და ყურადღება“.

ნ. კროგიუსი განიხილავს ყურადღების ბუნებას, აანალიზებს დადებით



და უარყოფით ემოციებს, მათს ზეგავლენას საჭადრაკო შემოქმედებაზე, მოკავს საინტერესო მაგალითები დიდი მოჭადრაკეების პრაქტიკიდან.

როცა კროგიუსის შეხედულებებს ეცნობი, ძალაუნებურად იხსენებ ტ-პეტროსიანს—ბ. სპასკის მეორე მატჩს, რომელშიც იგი სპასკის მწვრთნელი-ფსიქოლოგი გახლდათ. კროგიუსმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია მომავალ მსოფლიო ჩემპიონს ფსიქოლოგიის თვალსაზრისით ეფექტური რჩევა-დარიგებებით.

ნაშრომის ბოლო ნაწილში დიდოსტატი არჩევს საკითხს, თუ რა მოაქვს ჭადრაკს ადამიანის ყურადღების განვითარებისთვის. მისი აზრით, ჭადრაკი შესანიშნავი მწვრთნელია, მან არიცის შენდობა. ამიტომ იგი აჩვევს ადამიანს ყურადღების გაფანტვის წინააღმდეგ ბრძოლას, უცსო გარემოში ნაყოფიერ შრომას და სხვ.

ეს პატარა, მაგრამ საინტერესო წიგნი დიდ სარგებლობას მოუტანს მოჭადრაკე პრაქტიკოსებს, მათს მწვრთნელებს და ყველას, ვისაც სურს ჩასწვდეს საჭადრაკო ბრძოლის ფსიქოლოგიას.

თ. გიორგაძე.

რეკორდების დღე

სოხუმის მე-2 საბავშვო სპორტსკოლაში მოეწყო საინტერესო შეჯიბრება — რეკორდების დღე, რომელშიც აფხაზეთის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა 13 უძლიერესი ძალოსანი მონაწილეობდა. ტურნირში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, - აფხაზეთისა და საქართველოს რამდენიმე რეკორდი დამყარდა.

განსაკუთრებით ისახელა თავი იუნიორთა შორის სსრ კავშირისა და საქართველოს ჩემპიონმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა რ. ტარკილმა. მან აფხაზეთისა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა ქვემძიმე წონაში იუნიორთა შორის. ატაცში ტარკილის მაჩვენებელი (135 კგ) 5 კგ-ით შეტია ძველ რეკორდზე. აფხაზეთის რეკორდით აღინიშნა მისი მაჩვენებელი სამჭიდშიც — 425 კგ.

ნიჭიერ ძალოსანს წვრთნის სპორტის ოსტატი ვ. რადიმაშვილი.

ბ. იაშვილი,
გ. პოლოსიანი.

სოხუმი.

სტუმარ-მასპინძელი

სპორტსმენები, მით უფრო, ცნობილი სპორტსმენები, ბევრს მოგზაურობენ მატარებლით, გემით, თვითმფრინავით, ქვეითად... სამყაროს მშვენიერებას ხშირად ისინი მთელი ძალით ვერ აღიქვამენ, რადგან ასპარეზობათა დაძაბულობა ანელებს შთაბეჭდილებათა სიმძაფრეს. მაგრამ ყველა სპორტსმენს აქვს თავისი საყვარელი ქალაქი, სადაც ცხოვრობენ მისი უახლოესი მეგობრები, ნაცნობ-ამხანაგები... ქალაქი, რომელიც ხიბლავს განუმეორებელი კოლორიტითა და სითბოთი. ბრუნო ხაბაროვისთვის ასეთი ქალაქია თბილისი, სადაც იგი სტუმრად იყო... 17 წლის შემდეგ. 17 წელი ცოტაც არის და ბევრიც. 17 წლის წინათ ჯერ კიდევ სრულიად ნორჩმა სპორტსმენმა ჩვენს ქალაქში იასპარეზა საქართველო—ლატვიის სამატჩო შეხვედრაში. ეს იყო თავისებური სპორტული ნათლობა, რომელიც იღბლიანი გამოდგა მისთვის.

ერთი წუთით შევჩერდეთ. ჩვენ დაგვავიწყდა მკითხველისთვის წარგვედგინა რიგელი მუშკეტერი. თუმცა, სპორტის მოყვარულთა უმეტესობისთვის, ვფიქრობთ, ეს არცაა საჭირო. 17 წლის წინათ კი ამას არა თუ აზრი ჰქონდა, აუცილებელიც იყო. დღეს კი ბრუნო ხაბაროვს კარგად იცნობენ ფარიკაობის სამყაროში. მისი ბასრი დაშნა ციმციმებდა ევროპის, ამერიკის, აზიის კონტინენტებზე. ახლახან, როცა ბრუნო 17 წლის შემდეგ კვლავ ესტუმრა თავისი ადრეული სიჭაბუკის ქალაქს, იგი თავისებურ ანგარიშს აბარებდა სიყრმის მეგობრებსა და თავისი დიდი სპორტული ნიჭის თაყვანისმცემლებს. ფარიკაობის მოყვარულები მიესალმებოდნენ სსრ კავშირის მრავალჯერ ჩემპიონს, ბევრი საერთაშორისო ტურნირის კავალერსა და მსოფლიოს ერთ-ერთ გამოჩენილ მუშკეტერს. როგორც ხედავთ, ბრუნო ვალში არ დარჩენილა გულშემატკივართა წინაშე.

რამდენიმე დღის განმავლობაში ხაბაროვი ჩვენთან ერთად დადიოდა თბილისის ქუჩებში, ახარებდა სამხრეთული მზე, ისტორიული ძეგლების სიმრავლე, ჩვენი ქალაქისთვის დამახასიათებელი ინტიმური კოლორიტი. საქართველოდან გამგზავრების წინ ბრუნომ გვთხოვა, მისი შთაბეჭდილებანი ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის გადაგვეცა. სიამოვნებით ვასრულებთ მის სურვილს.

— თურმე არის ქალაქები, — გვიამბობს ბრუნო, — რომლებიც მუდამ ახლობელნი რჩებიან შეთვის, თუნდაც ძალიან დიდხანს არ ნახო. სრულიადაც არ არის აუცილებელი ყოველ წელიწადს ჩახვიდე ამ ქალაქში. ჩემი აზრით, სავსებით საკმარისია ახლო მეგობრობა გაკავშირებდეს მის მცხოვრებლებთან, კერძოდ, სპორტსმენებთან. თბილისური სითბო ჩემთან მოჰქონდათ ხალას და ამხანაგურ ბიჭებს გურამ კოსტავა, იური ოსიპოვს, ნუგზარ ასათიანს... ისინი ჩემთან ერთად ბევრჯერ გამოსულან შეჯიბრებებში. რაც შეეხება კოსტავას, ჩვენ ერთად წლობით გამოვდიოდით სსრ კავშირის ნაკრებში და ბევრი სასიამოვნო, დაუივიწყარი მოგონება გვაკავშირებს.

ამ გულწრფელ მეგობრობას ოდნავ ჩრდილსაც ვერ აყენებდა ის უშეღავათო ბრძოლა, რომელიც ხშირად გაგვიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ საფარიკაო ბილიკზე. სიმართლე გამჟღავნებული სჯობია, — გურამი ჩემთვის ყველაზე მოუხერხებელი მეტოქე იყო. სხვა სპორტულ თვისებებთან ერთად მას აქვს სამხრეთელი კაცისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტი. თუ გნებავთ, სიმკვირცხლე, რომელსაც ჩრდილოელი იშვიათად თუ მოუყენებინ გასაღებს. თუმცა, ამჯერად, უმჯობესია „სპორტულ შუღლზე“ ლაპარაკს მოვეშვათ და ერთი ამბავი გავიხსენოთ. ეს შემთხვევა მე და, მით უმეტეს, გურამს, ვფიქრობ, არასოდეს დაგვავიწყდება.

ეს მოხდა პარიზში ამ რამდენიმე წლის წინათ. მე და გურამი ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაში ვმონაწილეობდით. ტურნირი ახალი დამთავრებული იყო. გადავწყვიტეთ თავისუფალი დროით გვესარგებლა და პარიზი დაგვეთვალიერებინა. ის-ის იყო, გასასვლელად მოვემზადეთ, რომ სასტუმროს ნომერში ტელეფონმა დარეკა. გურამმა გულგრილად აიღო ყურმილი და ერთ წამში სახეზე დიდი გაოცება გამოეხატა. შემდეგ გაოცება ღიმილმა შეცვალა, ყურმილში რამდენიმე სიტყვა მხიარულად ჩასძახა თავის მშობლიურ ენაზე. ლაპარაკიც ამაზე შეწყდა. თურმე გურამისთვის დაურეკია მის პარიზელ თანამემამულეს ორესტ გორდელაძეს. უნდა გენახათ, როგორი სიხარულით შეხვდა ორესტი სახელგანთქმულ ქართველ მუშკეტერს. აღმოჩნდა, რომ იგი უკვე დიდი ხანია შორიდან იცნობდა გურამს და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მის სპორტულ გამოსვლებს. იმ დღეს ორესტ გორდელაძესთან ერთად დავიარეთ პარიზის ქუჩები, მეგობრულად ვისაუბრეთ და გულთბილად დავშორდით. წარმოიდგინეთ, რა სასიამოვნოა, როცა შორეულ ქვეყანაში მოულოდნელად შეხვდები შენი მიწა-წყლის ადამიანს. მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ქართველი ადამიანის პატრიოტიზმში, სტუმართმოყვარეობასა და კაცურ კაცობაში.

საქართველოზე, ქართველ ხალხზე ბევრი კარგი რამ დაწერილა და თქმულა. მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თუ აქ ჩამოსულ კაცს მცდელთა არ უნახავს, ვერ იტყვის საქართველოში ვიყავიო. ეს არის საოცარი ქალაქი, რომელიც მნახველს აჯადოებს არა მარტო ბრწყინვალე უძველესი ისტორიული ძეგლებით, არამედ მათი შემქმნელი ხალხის გენიალობითა და შრომისმოყვარეობით. თავისი ისტორიული ტრადიციებითა და არქიტექტურით მცხეთა ევროპის უძველეს ქალაქებს არ ჩამოუვარდება.

... როცა ბრუნოს აეროდრომზე ვაცილებდით, შემთხვევით შევხვდით ახალდაქორწინებულთა წყვილს. ახალგაზრდა ცოლ-ქმარიც რიგაში მიემგზავრებოდა.

— ამ წუთამდე მე თქვენი სტუმარი ვიყავი. ახლა კი მზად ვარ ყოველ ქართველს ჩემს მშობლიურ ქალაქში მასპინძლობა გავუწიო, — ღიმილით თქვა ბრუნომ და თვითმფრინავის ტრაპზე ბედნიერ წყვილთან ერთად ავიდა.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): ო. გორდელაძე, გ. კოსტავა, ბ. ხაბაროვი.

თბილისის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგია ყოველწლიურად, ახალი სეზონის დაწყების წინ აწყობს მსაჯთა მოსამზადებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. ასეთი სემინარი ჩატარდა წლეულსაც, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი მსაჯები კ. კრავჩენკო, კ. ყრუაშვილი, გ. ბაქანიძე, ი. ბოჭორაძე.

თეორიულ მსაჯობასთან ერთად სემინარის მსმენელები ფიზიკურ მომზადებასაც გადიოდნენ.

სურათზე: მსაჯები 60 მეტრზე რბენისას.

ტექსტი და ფოტო
გ. დოლენჯაშვილისა.

ქართული ბიბლიოთეკა



ვიტო თვალით

ამას წინათ თელავში გაიმართა რესპუბლიკური მოტოკროსი. „175-ანებით“ შეჯიბრებაში იმარჯვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ა. ვავიანმა (ასკ), რომელმაც სამივე ცდა მოიგო და პირველობა დაისაკუთრა.

სურათზე: ა. ვავიანი შეჯიბრების დროს.

ფოტო ბ. ქვათაძისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

20-ს

◆ პრაღა, 10 მარტი. აქ ორ დღეს გაგრძელდა გაზეთ „ჩესკოსლოვენსკი სპორტის“ პრიზზე გამართული შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ გდრ-ის, რუმინეთის, შვეიცის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის მოცურავეები. I ადგილი დაიკავა გდრ-ის გუნდმა.

განთიადელთა წარმატება

დამთავრდა აჭარის პირველობა ხელბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „განთიადის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „კოლმეურნის“, სპორტსკოლის, პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ქალთა შეჯიბრება. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ „განთიადისა“ და სპორტსკოლის ხელბურთელები. მწვავე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს განთიადელებმა — 13:12.

ინტერესი გამოიწვია ვაჟთა პაექრობამაც. აქაც „განთიადის“ სპორტსმენებმა იმარჯვეს და პირველობა არავის დაუთმეს.

ო. მურვანიძე.

ბათუმი.

ქხაკრი ქვეყეკი

● ესტერსუნდი, 9 მარტი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხილამურეებმა, რომლებიც შტრბსკე-პლესოს ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მთავარი სენსაციის ავტორებად მოგვევლინენ, შვეციის ამ ქალაქში დაჯაბნეს სკანდინავიის სახელგანთქმული მრბოლელები. 30 კილომეტრზე რბენა მოიგო გ. კლაუზენმ — 1:29.28, II ადგილზე გავიდა ა. ლესერი — 1:29.50, ხოლო III — გ. გრიმერი — 1:40.35. შვედი ჩემპიონი ა. ლილია მხოლოდ მეოთხე იყო — 1:41.02, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი ლ. ასლუნდი — მეათე (1:42.58). ასეთივე ამბავი განმეორდა 10 კილომეტრზე ქალთა რბოლაში: საპრიზო სამეულში მხოლოდ გდრ-ის წარმომადგენლები შევიდნენ. ყველას აჯობა კ. შაიდელმა — 37.43.

● ჰავანა, 9 მარტი. კუბის მოჭადრაკეთა ჩემპიონატში გაიმარჯვა საერთაშორისო ოსტატმა ს. გარსიამ — 15,5 ქულა. 21-დან. 25 წლის გარსია ერთხელ — 1968 წელს უკვე იყო კუბის ჩემპიონი.

● ბრაშოვი, 9 მარტი. რუმინეთის ამ ქალაქის მიდამოებში გაიმართა ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის იუნიორ ბიატლონისტთა საერთაშორისო შეჯიბრება. საბჭოთა სპორტსმენებმა გ. ბურანოვმა, ი. ვინგრისმა და ა. ბოგდანოვმა ყველას აჯობეს 3×7,5 კილომეტრზე ეტაფეტაში — 1:46.30. 15 კილომეტრზე რბოლაში გაიმარჯვა ბოგდანოვმა — 1:07.14.

● კანამა-სიტი, 9 მარტი. ცენტრალური ამერიკისა და კარიბის თამაშების ახალი მიღწევით მოიგო 200 მეტრზე ფინალური გარბენი კუბელმა ვ. კობიანმა — 23,5 წამი. კუბელმა მძლეოსანმა ჭალეებმა დანარჩენი ორი საპრიზო ადგილიც მოიპოვეს: მეორე იყო ვ. კესადა (23,9), მესამე — ფ. რომეი (24,3). ასევე ტრიუმფალური გამოდგა მათი ასპარეზობა 100 მეტრზე თარჯრბენში: ოქროს მედალი დაისაკუთრა ვ. ელეხალდემ (13,9), ვერცხლისა — ლ. ჯონსმა (14,2), ბრინჯაოსი — რ. მარტინესმა (14,5).

● ბარმიშ-პარტენკირჩენი (გფრ), 9 მარტი. „შფრინავ მოთხილამურეთა“ აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველას აჯობა საშუალო ტრამპლინზე გრენობლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ი. რაშკამ (ჩეხოსლოვაკია) — 240,8 ქულა (ნახტომები — 92,5 და 98 მ).

კენჭისყრით ასე გადაწყდა

ევროპის მაგიდის ჩოგბურთელთა წლეულდელი ჩემპიონატის (მოსკოვი, 1-8 აპრილი) პირველ ეტაპზე საბჭოთა გუნდებს — ლიონის წინა პირველობის ვერცხლის პრიზიორებს, ასეთი მეტოქეები შეხვდათ: ქალებს — იუგოსლავიის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ვაჟებს — ბელგიის, ავსტრიისა და ბულგარეთის სპორტსმენები. ქალებიცა და ვაჟებიც II ჯგუფში იასპარეზებენ. ეს გადაწყვიტა გუნდური ტურნირის კენჭისყრამ, რომელიც 10 მარტს ჩატარდა ლენინის სახელობის სტადიონის სპორტის სასახლეში, სადაც 23 ქვეყნის 166 სპორტსმენი (98 ვაჟი და 68 ქალი) იბრძოლებს კონტინენტის VII პირველობის საპატიო ჯილდოებისთვის.

ქალთა სხვა ჯგუფების შემადგენლობა ასეთია: I ჯგუფი—გფრ (1968 წლის ევროპის ჩემპიონი), შვეცია, შვეიცარია; III ჯგუფი — ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი; IV ჯგუფი — უნგრეთი, რუმინეთი, ავსტრია, საბერძნეთი; V ჯგუფი — ინგლისი, გდრ, ბელგია, ფინეთი.

ვაჟთა ტურნირის მონაწილენი კენჭისყრამ ასე გაანაწილა: I ჯგუფი — შვეცია (1968 წლის ევროპის ჩემპიონი), პოლონეთი, საფრანგეთი, თურქეთი; III ჯგუფი — იუგოსლავია, დანია, ჰოლანდია, საბერძნეთი; IV ჯგუფი — უნგრეთი, გფრ, ლუქსემბურგი, შვეიცარია; V ჯგუფი — ინგლისი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, შოტლანდია.

გუნდური შეჯიბრების სისტემა ასეთია: ყოველი ჯგუფიდან ორი საუკეთესო კოლექტივი ქმნის ორ ნახევარფინალს ხუთ-ხუთი მონაწილით, სადაც ასპარეზობა ასევე წრიული სისტემით ჩატარდება. პირველ ნახევარფინალში შევლენ I, IV და V ჯგუფებში გამარჯვებულნი, აგრეთვე ის გუნდები, რომლებიც II და III ჯგუფებში II ადგილებს დაიკავებენ. მეორე ნახევარფინალში შევა დანარჩენი 5 კოლექტივი.

ჩემპიონთა ოქროს მედლებს გაითამაშებენ ნახევარფინალებში გამარჯვებულნი, ბრინჯაოსას — ნახევარფინალებში II ადგილებზე გასულნი. ასეთი სისტემით გაირკვევა ყველა ადგილის ბედი.

კენჭისყრას დაესწრო მაგიდის ჩოგბურთის ევროპული კავშირის პრეზიდენტი ვ. ვებრი (ჩეხოსლოვაკია).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 ფე 04183

რედაქტორი მ. კაკაბაძე.